

გამომცემლობა „ინტელექტისაგან“

წიგნი, რომელიც ჩვენმა გამომცემლობამ დასტამბა, წარმოადგენს ორიგინალურ ნაწარმოებს, მიძღვნილს „ნატურალური ფილოსოფიის“ ანუ ფიზიკის, როგორც მეცნიერების ერთ-ერთი დარგის ჰიპოთეტური საწყისების განსაზღვრისა და, მათზე დაყრდნობით, სამყაროს მოდელის შექმნისადმი. არსებითს ამ დაშვებებისაგან წარმოადგენს მიზიდვა-განზიდვის მოვლენის აპრიორულობა, ანუ რხევითი მოძრაობის პრინციპი. აღნიშნული კანონი განსხვავდება ნიუტონისა და ეინშტეინის დაშვებებისაგან და ამგვარად ჩვენ წინ იშლება ფიზიკის თავისებური უწინდლებისაგან განსხვავებული კურსი. წიგნი შედგება ორი ნაწილისაგან, რომელიც თარგმნილია ქართულიდან ავტორის მიერ; ამასთან პირველი ნაწილი შეზღუდული რაოდენობით გამოიცა 1961 წელს.

გამოცემა, ჩვენი აზრით, ამ თხზულებისა აუცილებელია იმ შემთხვევაშიც კი, თუ შემდგომი პერიოდი დაადასტურებს ასეთი მოდელის არასაკმარისობას. საქმე იმაში გახლავთ, რომ ბატონი **ტარას აზიანიძის** მოდელი არ ეწინააღმდეგება ადრე აგებულებს, მაგრამ რამდენადაა იგი ადეკვატური ფართო ბუნების პროცესებისა და მოვლენების აღწერისათვის, ეს მომდევნო თაობათა პრეროგატივაა. ჩვენთვის ნათელია, რომ დრო ამ პრობლემას გადაჭრის და განხორციელებს მოდელის დაზუსტება-დასაბუთება და ა. შ. დღესდღეობით კი წარმოდგენილი ნაშრომი არამარტო დასტამბვისა და გავრცელების ღირსია, არამედ, დამატებით, მას უცილობელი ისტორიული ღირებულებაც აქვს.

შედარებით მწირი მინიმუმებითაც კი, ამ დარგის პროფესიონალი მკითხველი უნდა დაინტერესდეს შემოთავაზებული გამოცემით. იგი პირველ რიგში განკუთვნილია ფიზიკოსებისათვის ფართო პროფილით, მათემატიკოსების, ფილოსოფოსების, მეცნიერებათა ისტორიის მკვლევარებისა და ყველა სხვა პიროვნებისათვის, ვინც მეტ-ნაკლებად დარგს თვლის თავისი ინტელექტუალური ინტერესების სფეროდ.

წიგნის ავტორი, ტარას აზიანიძე (1889-1969) გახლდათ იშვიათი გამონაკლისი იმ ქართველ მოღვაწეთა შორის, რომელთაც წილად ხვდა ყოფილიყო გასული საუკუნის 10-60 წწ. ფიზიკის მასწავლებელი, ამ დარგში

ერთ-ერთი ექსპერიმენტატორი და ლაბორატორიათა შემქმნელი და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია დღესაც, საკმარისად (როგორც ამას წიგნიც ადასტურებს) მაღალი რანგის მკვლევარი.

ცნობისათვის აღვნიშნავთ, რომ ტარას აბზიანიძემ პირველმა დაწერა საქართველოში რენტგენის აპარატურა. იგი იყო ინდუსტრიული ტექნიკუმისა (შემდგომში პოლიტექნიკური ინსტიტუტის ერთ-ერთი საბაზო ერთეული) და თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში ფიზიკის წრის დამაარსებელი, თბილისის საავიაციო ტექნიკუმის დირექტორი, პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის გამგე, ფიზიკის სასკოლო ოლიმპიადების ჩატარების ერთ-ერთი ორგანიზატორი, შთამბეჭდავი გარეგნობისა და დახვეწილი ქცევის პიროვნება.

ამასთანავე არსებითია, რომ თავის ნაწარმოებებს იგი ქმნიდა არამარტო დიდი გატაცებითა და სიყვარულით, არამედ სამაგალითო სიბეჯითითაც. როგორც მრავალრიცხოვან დაცულ დოკუმენტებშია დადასტურებული, ტარას აბზიანიძე ძალ-ღონეს არ იშურებდა იმისათვის, რომ, როგორც თბილისის, ასევე მოსკოვისა და ლენინგრადის აკადემიურ წრეებში მსმენელამდე (რასაც განუმეორებელი ხიბლიც ახლდა) მოხსენებებისა და სემინარების სახით მიღებული შედეგების სიახლე და ორიგინალობა მიეტანა.

22.07.2013